თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №1

2015 წლის 13 იანვარი
დ. თიანეთი

ევროკავშირის ინიციატივით დაწყებული „მერების შეთანხმებაში“ თიანეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. თიანეთის მუნიციპალიტეტი ჩაერთოს ევროკავშირის ინიციატივით დაწყებულ „მერების შეთანხმებაში“ და განახორციელოს აღნიშნული დოკუმენტის დანართში მითითებული ყველა ღონისძიება.

2. თიანეთის მუნიციპალიტეტი დელეგირებას ახდენს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციაზე, რათა მან უზრუნველყოს „რეგიონალური მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმის“ მომზადება.

3. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

4. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

მინდია შეთეკაური